

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდები დასრულდა

სწავლების ცენტრმა, ცესკოსთან თანამშრომლობით, 2021 წლის 7 - 28 აპრილის ჩათვლით პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდები განახორციელა. რეგისტრირებული 1977 მოქალაქიდან გამოცდაზე გამოცხადდა 951 მოქალაქე, რომელთაგან სერტიფიცირება წარმატებით გაიარა 261 პირმა (ქალი - 171; კაცი - 90).

საგამოცდო ცენტრების მიხედვით სტატისტიკური მონაცემები შემდეგია:

- თბილისის საგამოცდო ცენტრში რეგისტრირებული 1410 მოქალაქიდან გამოცდაზე გამოცხადდა 672 მოქალაქე, სერტიფიცირება წარმატებით გაიარა 185 პირმა (ქალი - 126; კაცი - 59);
- ქუთაისის საგამოცდო ცენტრში რეგისტრირებული 567 მოქალაქიდან გამოცდაზე გამოცხადდა 279 მოქალაქე, სერტიფიცირება წარმატებით გაიარა 76 პირმა (ქალი - 45; კაცი - 31).

საგამოცდო პროცესი პანდემიასთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაციის დაცვით წარიმართა.